# მოდული 09

## ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენება: ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები

**ადაპტირებულია საქართველოსთვის**

Hedayah countering violent extremism SEARCH FOR COMMON GROUND GCSD

გვიამბეთ იმ შემთხვევებზე, როდესაც **ტექნოლოგია** მნიშვნელოვნად **დაგეხმარათ** კავშირების დამყარებაში.



# როგორ **გამოიყენეს** ძალადობრივმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა **ტექნოლოგიები** თქვენს გარემოში?



# როგორ შეიძლება **ტექნოლოგიების** (ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით) **გამოყენება** ძალადობრივი ექსტრემისტული მოწოდებების მიმართ მედეგობის განვითარების ან ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავების მიზნით**?



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავების** პროგრამებში ტექნოლოგიების გამოყენების მოწინავე **მეთოდები**:

- მოწყვლადი ადამიანების დაკავშირება მომსახურებებსა და შესაძლებლობებთან.
- კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება.
- მოწყვლადი ადამიანებისთვის შესაბამისი უნარების განვითარება.
- რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება.
- პოზიტიური ნარატივების შექმნა და გავრცელება.
- ორგანიზაციების ან ინდივიდების გაძლიერება და განვითარება, რათა მათ შეძლონ ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების ინიციატივებში ჩართვა, შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავების გზით.

# **ვიდეორგოლი 23 |** ვირტუალური გაცვლითი პროგრამის „ერასმუს+“ ანონსი




**მომზადებულია:** ვირტუალური გაცვლითი პროგრამის „ერასმუს+“ ფარგლებში

**ორიგინალი ბმული:**

https://youtu.be/DSW7kleimF0

**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**

https://drive.google.com/file/d/14qmARtT4gz91GuLNtQx56cQ7_ptgPbbC/view?usp=sharing

# **ვიდეორგოლი 24 |** ტოლი ტოლს: ექსტრემიზმის გამოწვევა 2015 წელს




**მომზადებულია:** ამერიკის შეერთებული შტატების განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს (სახელმწიფო დეპარტამენტის) მიერ

**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/cCrDOSsDbt8

**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1H6cwhlynJ7gZaDkyNWvA1BWypvojj9VS/view?usp=sharing

# სპეციალური მოსაზრებები სოციალური მედიის და ონლაინ-პლატფორმების გამოყენებისას:

- აირჩიეთ გზავნილების სამიზნე აუდიტორია;
- ინტერესის გაღვივების მიზნით გამოიყენეთ ფოტოსურათები ან ვიდეორგოლები;
- ერთი „პოსტის“ ფარგლებში სასურველია მხოლოდ ერთი გზავნილის განთავსება;
- გამოიყენეთ „ჰეშთეგები“ უფრო ფართო კამპანიის შესაქმნელად;
- მოუწოდეთ თქვენს აუდიტორიას მოქმედებისკენ;
- იმუშავეთ იმ ადამიანებთან, ვინც რეაგირებას ახდენს თქვენს „პოსტებზე“, საჭიროების შემთხვევაში.

# რა **სარგებელი** და **გამოწვევები** ახლავს თან საკუთარი ტექნიკური პლატფორმების შექმნას ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გასამკლავებლად**?



# რა უნდა **გაითვალისწინონ** პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა საკუთარი ტექნოლოგიური **ინიციატივების** ან ტექნიკური ინსტრუმენტების შემუშავებისას, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების **შესაქმნელად**?



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში **ტექნოლოგიების** გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოწინავე მეთოდები და **გაკვეთილები**:

**რეალურ სივრცეში მოქმედება ყველაზე ეფექტიანია:**
– კონტრნარატივები და ტექნიკური ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ერთადერთ გადაწყვეტის გზას რადიკალიზაციისა და გადაბირების თავიდან ასაცილებლად.
**კომუნიკაცია - პრობლემის გადაწყვეტის გზის მხოლოდ ერთი ასპექტია:**
– მოახდინეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიდგომების (მაგალითად, პოზიტიური ნარატივების) ინტეგრირება უფრო ვრცელ კონტრტერორისტულ სტრატეგიებსა და პოლიტიკაში.

# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში **ტექნოლოგიების** გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოწინავე მეთოდები და **გაკვეთილები**:

**გამოიყენეთ მრავალმხრივი მიდგომა:**
– ეს შესაძლოა გულისხმობდეს სხვადასხვა მიდგომას, როგორიცაა ძალადობრივი ექსტრემისტული ხასიათის მასალების წაშლა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, თქვენი საკუთარი გზავნილების გავრცელება და ახალგაზრდების მედეგობის გაძლიერება სპეციალური ღონისძიებებისა და განათლების გზით.

**მიმართეთ მთლიანი საზოგადოების ჩართვის მიდგომას:**
– სამთავრობო ინსტიტუციების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის, აგრეთვე ადგილობრივი სუბიექტების ჩათვლით (არ დაგავიწყდეთ ახალგაზრდებიც!)

**დაიცავით თანმიმდევრობა და კოორდინაცია:**
– მოახდინეთ ძალისხმევების კოორდინაცია, რათა გზავნილები არ მოვიდეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და შესაბამისობაში იყოს არსებულ ქმედებებთან.

# რა **რისკები** და **გამოწვევები** ახლავს თან ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენებას?

ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლოა იყოს ძვირი და რთულად გასავითარებელი. ისინი შეიძლება მოითხოვდნენ სპეციფიურ ასპექტებს, რათა შექმნან საინტერესო და ადვილად გამოსაყენებელი პროგრამა, მოამზადონ სპეციალიზირებული მოდერატორები პლატფორმების სამართავად და/ან აიღონ გრძელვადიანი ვალდებულებები პლატფორმების აქტიური მუშაობისთვის. დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა, რამდენად არსებობს საკმარისი რესურსი:

- პლატფორმის შექმნისა და დასრულებისთვის?
- პლატფორმის შემუშავების ეტაპის დასრულების შემდეგ, მისი ბაზარზე გატანის, მართვისა და შენახვისთვის?

ტექნოლოგიური და სოციალური მედიის ინსტრუმენტების შექმნა არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად საჭირო აუდიტორიას მოიცავენ, თუ მათი შექმნის პროცესში არ იქნება გათვალისწინებული შესაბამისი კვლევის შედეგები.

# შეჯამება

• ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე იწვევს რადიკალიზაციასა და ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების გავრცელებას.

• ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენება გაზრდის მათი გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს ცვლილებას.

• ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები ვერ ანაცვლებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით რეალობაში განხორციელებულ ქმედებებს.

• ახალი პლატფორმების შექმნა (უკვე არსებული პლატფორმებით სარგებლობის ნაცვლად) შეიძლება იყოს რთული და ხარჯიანი, თუმცა ამავდროულად ეფექტიანი პროცესი.

